



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი

1 მაისი 2015წ.

ბრძანება № 2/83

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული
ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის
სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ
ვასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული
მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8
აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“
ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:




1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ
ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის
ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი
ღონისძიების განხორციელება;
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.





ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).



გენერალური დირექტორი



ნიკოლოზ ანთიძე

N	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		„ღვთისმშობელი“	გორის მუნიციპალიტეტი, ნასოფლარი პიტნარა	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები
2.		წინამძღვრიშვილების ეკლესია	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარი	არქიტექტურის	XIX ს.
3.		კვირაცხოვლის ეკლესია	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზაქარო	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისი

4.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	ზესტაფონის რაიონი, სოფ. მარტოთუბანი (სასაფლაოზე)	არქიტექტურის	XIX ს. II ნახევარი
5.		კვირაცხოვლის ეკლესია	თეთრიწყაროს რაიონი, სოფ. გოლთეთი (ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე)	არქიტექტურის	XIII - XIV ს.
6.		ღვთისშობლის ეკლესია	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზაქარო (სოფ. ზაქაროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2,9-3 კმ-ში. ყანებში)	არქიტექტურის	შუა საუკუნეები
7.		კვირაცხოვლის ნიში	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზაქარო (სოფ. ზაქაროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2,3 კმ-ში. ყანებში)	არქიტექტურის	შუა საუკუნეები

8.		წმ.იოაკიმ და ანას სახელობის დარბაზული ეკლესია	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. წყაროსთავი	არქიტექტურის	XVIII საუკუნე ს მიწურულ ლი XIX საუკუ ნის დასაწყის ი
9.		“წმ. გიორგი“	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფ. სასირეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნე ბი